რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“

„დროების“ ფასი:

| | |
|---|---|
| მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთი თვისა . . . 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასომთავრული ასოზე ნახევარი კაპეიკი, წვრილ პეტიტის ასოთი სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია დასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით აღარ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ამა 1883 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და წესით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალი თანამშრომლებისა და სხვა ღონისძიების შემწეობით, ამა წლიდამ გააუმჯობესოს თავის გაზეთი და ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში:—ჭილაძების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში:—ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| ერთის წლით: . . . . . . 9 მან. | სამის თვით . . . . . . . 3 მან. |
| ნახევარის წლით . . . . . 5 „ | ერთის თვით . . . . . . 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. გთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

აბონემენტის რიცხვში.

არწრუნის თეატრი.

ოთხშაბათს, 16 თებერვალს

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

ქ. ყიფიანისა

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად

მეფე ლირი

ტრაგედია 5 მოქმედ. და 10 სურათად ინგლისურიდამ გადმოკეთებული Ილ. ჭავჭავაძის და Ივ. მ. ჩაბლის-მიერ.

დასაწყისი 7 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

### სამზღვარ-გარეთიდამ

12 თებერვალს

ლონდონი. პალატაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ირლანდიის ნამინისტრალის ფორსტერის სიტყვამ. ფორსტერმა წარმოსთქვა, იმიტომ გამოველ სამსახურიდამ რომ სამინისტრომ ირლანდიის წინააღმდეგ არ იხმარაო სასტიკი ღონის-ძიება, და მთელი პასუხის-გება საადგილ-მამულო ლიგას მიანდო; სხვათა შორის, ფორსტერმა ისიც აღიარა, რომ პარნელი ხელს უწყობდა მკვლელებსაო. ამაზედ პარნელმა პასუხი არ მისცა და გამოვიდა პალატიდამ.

პარნელმა განაცხადა პალატაში, რომ ირლანდიის საადგილ-მამულო ლიგას უსამართლოდ ბრალდებაო, გითომ მას წინ-და-წინვე სცოდნოდეს მკვლელების განზრახვაო, მათი შეთქმულობაო, და ჯაშუშად მაბეზღებლად უწოდა ფორსტერს, რომელმაც გასცაო საიდუმლონი უწინდელ თვის მოძმეთა.

ბუხარესტი. ამბობენ, რუმინია დათანხმდებაო, მიიღოს დუნაის კონფერენციისაგან შეცვლილი პროექტი ბარრერისა.

სოფია. შინაგან საქმეთა მინისტრის, ღენ. სობოლევის; განკარგულებით გაზ. „ნოვოე ვრემიას“ კორრესპონდენტი, მოღჩანოვი განდევნილ იქმნა სამთავროიდამ რუსის საზოგადოების აღელვებისათვის ბოლგარიას წინააღმდეგ, ამბების გადასხვაფერებისათვის და ბოლგარიის მინისტრების ცილის-წამებისათვის.

13 თებერვალს

პარიჟი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრევიმ იახლა რუსის ელჩი არლოვი.

ოფიციალურად გამოცხადებულია ომალსკის, შარტრის და ალანსონის პრინცების დათხოვნა სამხედრო სამსახურიდამ.

### რუსეთიდამ

11 თებერვალს

მოსკოვი. დიდი მზადებაა გვირგვინის კურთხევისთვის. მართავენ დიდს და პატარა პეტრეს სასახლეებს. შეკვეთილია აუარებელი მებელი და ვერცხლის ჭურჭელეული. ჰმართვენ ტახტებს, მზადდება მშვენიერი ბალდახინები, რომლის ქვემოდამ უნდა იარონ დაბრძანება მათ იმპერატორობით უდიდებულესებათ. ლომანის ქარხანაში შეკვეთილია იმპერატრიცის კაბა, რომლის კუდი ვერცხლის ფარჩისა აიწონის 30 გირვანქას.

ოდესის სასამართლომ გარდასწყვიტა განათავისუფლოს მელნიცკის ქალი, თუ წარმოადგენს გირაოდ 5,300 მან.

პეტერბურღი. „საქალაქო წესდებულების“ დაწესებიდამ ათი წლის გასვლის გამო, პეტერბურღის რჩევას განზრახვა ჰქონდა მიერთვა ხელმწიფეს უმდაბლესი ადრესი. ხელმწიფე იმპერატორმა ინება მადლობის გამოცხადება და ბრძანა, რომ ეს ადრესი მიერთვას მისს უდიდებულესებას გვირგვინის კურთხევის შემდეგ.

გუშინ სამხედრო მინისტრმა დაათვალიერა ქალების საექიმო კურსები.

13 თებერვალს

ასტრახანი. ქალაქის მიწაზედ აღმოჩნდა ნავთის წყარო. ჯერ წყარო სუსტად სცემს.

პეტერბურღი. უმაღლესი ბრძანებაა: გადიხედოს ყველა კანონები ებრაელთა შესახებ და საჭირო ცვლილებანი მოხდეს მასში, დაარსდეს ახალი კამისია, სტატს-სეკრეტრის მაკოვის თავსმჯდომარეობით. და სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომდგენელებისაგან.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით. გაზ: „Голосъ“-ს ვანეცხადა მესამე გაფრთხილება და ექვსი თვით გამოცემის შეჩერება მავნებელ მიმართულების გამო.

11 თებერვალს იყო მესამე ბალი საზამთრო სასახლეში, წინა დღით-კი მათი უდიდებულესებანი ბრძანდებოდნენ ინგლისის ელჩისაგან გამართულს ბალზე.

## ჩვენი ჟურნალ-გაზეთების საქმე *).

ტფილისი, 14 თებერვალს.

რა საშუალებითა და ღონის-ძიებით შეიძლება ჩვენი დრო-გამოშვებით ლიტერატურის გაცხოველება და აღორძინება? რა საშუალება არის საჭირო, რომ ერთის მხრით მკითხველმა საზოგადოებამ იპოვოს ამ ლიტერატურაში ის, რასაც ეძიებს და, მეორეს მხრით, თვითონ ამ დრო-გამოშვებით ლიტერატურამ შეიძინოს მკითხველი საზოგადოება?

ამ კითხვის პასუხი თითქმის მოხსენებულია ჩვენი გაზეთის წინანდელ ნომერში, სადაც ჩამოვთვალეთ ის მიზეზები, რომელნიც ჩვენს ახლანდელ დრო-გამოშვებით ლიტერატურის წარმატებას აბრკოლებენ. უნდა მოისპოს ის მიზეზები და, ცხადია, მაშინ მოისპობა ის შედეგიც—ლიტერატურის სისუსტე—რომელიც დაბადებულია ხსენებულ მიზეზებისაგან.

პირველი ამ მიზეზთაგანი, რომელზედაც სჯა მთელ რუსეთის ლიტერატურას აქვს ახლა, რომელიც ჩვენთვისაც და რუსეთისთვისაც საერთო დამაბრკოლებელ მიზეზს შეადგენს, არის ბეჭდვის კანონების სისასტიკე და გამოუკვლევლობა. რუსული გაზეთები თითქმის ერთ-ხმად თხოულობენ ამ კანონების შეცვლას და ისეთის წესის დადგენას, რომელიც ცოტათი მაინც შეღავათს მისცემს, ცოტათი უფრო მომეტებულის თავისუფლებით აზრის გამოთქმის ღონისძიებას მიანიჭებს საზოგადოდ მწერლობას და განსაკუთრებით დრო-გამოშვებით მწერლობასა.

მართლაც, ყველა გრძნობს ბეჭდვის შესახებ ახლანდელ კანონების შეცვლის საჭიროებას; ყველანი მოუთმენლად მოელიან იმ დროს, როდესაც ეს გამოცვლილი ახალი კანონები ცოტათი მაინც შეამსუბუქებენ ახლანდელ ლიტერატურის გაჭირებულ მდგომარეობას.

მაგრამ საზოგადოებას აქ, გარდა თავის სურვილისა და ნატვრის გამოცხადებისა, არა შეუძლია-რა. ეს მარტო უმაღლესს მთავრობაზედ არის დამოკიდებული.

ამავე მთავრობაზედ არის აგრეთვე დამოკიდებული მოსპობა მეორე მიზეზისა, რომელიც აბრკოლებს დრო-გამოშვებით ლიტერატურის წარმატებას: ფოსტის, გზების მხრით დაბრკოლებაზედ მოგახსენოთ. შეუდარებელად შეგვიძლია ვთქვათ, ჩვენში რომ ისეთი სოფლის გზები და ფოჩტები იყოს გამართული, როგორც, ვთქვათ, გერმანიაში, ან საფრანგეთში, ან პატარა შვეიცარიაში, მაშინ ჩვენებურ ჟურნალებსა და გაზეთებს, ერთი-სამად თუ არა, უეჭველია, ერთი-ორად მაინც ახლანდელზე მომეტებული მკითხველი ეყოლებოდა და, მაშასადამე, ერთი-ორად უფრო მომეტებული ღონის-ძიება, რომ თავის მდგომარეობა გაეკარგებინა და მკითხველის კანონიერი მოთხოვნილებაც დაეკმაყოფილებინა.

მაგრამ არის ერთი ისეთი სხვა მიზეზი, რომელიც ამას წინად მოვიხსენეთ, და რომლის მოსპობა საკუთრივ ჩვენზედ, ჩვენს საზოგადოებაზედ არის დამოკიდებული: ჩვენ ვამბობთ დაწინაურებულ და შეძლებულ საზოგადოებისაგან სამშობლო ლიტერატურისადმი უფრო მომეტებულ თანაგრძნობის და ხელის-მომართვის სურვილის გამოცხადებაზედ, ვიდრე დღემდინ ვხედავთ იმას ჩვენში.

საქმე იმაშია, რომ სანამ ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ ახალგაზდა

*) იხ. „დროება“, № 32.

ლიტერატურად ჩაითვლება, სანამ იმას მაგრამდ ფეხი არ გაუდგამს ხალხში, სანამ მკვიდრი ფესვები არა აქვს, მანამ გარედამ, თანამგრძნობთაგან, სამშობლო საქმის გულშემატკივართაგან ეჭირება დროებით დახმარება და ხელისმომართვა. ყველგან ასე ყოფილა და ჩვენშიაც ასე უნდა მოხდეს: თანამგრძნობი პირნი უნდა ამოგვიჩნდენ, რომელთაც თუ ნივთიერად, თუ ლიტერატურულად, თუ გამხნევებით, თუ რჩევით და თუ სხვა ათასის საშუალებით დაეხმარონ ჯერ კიდევ ნორჩს, ფესვ-გაუმაგრებელს ჩვენს ლიტერატურასა. და როცა ის გამაგრდება როცა დამწიფდება, მერე სხვის დახმარება საჭირო აღარ იქნება, მერე თვითონ ის დაეხმარება ათას გვარ ჩვენ საზოგადო საქმეების წარმატებასა და წინ-სვლას.

საუბედუროდ, ამას ვერ ვხედავთ დღეს ჩვენში. პირ-იქით ბევრი ქართველთაგან, რომელთაც განათლებულს ეძახიან და რომელთაც, მაშა სადამე, უნდა ესმოდესთ სამშობლო ლიტერატურის მნიშვნელობა, თითქოს მტრულის თვალით შესცქერიან ქართულ მწერლობას, იმის სისუსტე თითქო ახარებს იმათ. სამწუხარო მოვლენაა ეს მოვლენა ახლანდელს ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში და, სანამ ეს არ მოისპობა, მანამ არათუ დრო-გამოშვებით ლიტერატურის აღორძინებას და აჰყვავებას, არც ერთ ჩვენი საერო საქმის წარმატებას არ უნდა მოველოდეთ. მაგრამ, ღვთით, თან-და-თან ვატყობთ ნიშნებს ამ სამწუხარო მოვლენის მოსპობისას; თან-და-თან ნაკლებად ვხედავთ ისეთ ქართველს, რომელსაც თავის ქვეყნისა და ერის საზოგადო საქმეების დაბრკოლება ახარებდეს. და, შემდეგში, იმედია, ამ გვარ პირთ კიდევ უფრო ნაკლებად შევხვდებით.

აი ეს არის უმთავრესი საშუალებანი ჩვენი დრო-გამოშვებით ლიტერატურის წარმატებისათვის, საშუალებანი, რომელნიც დღეს, ამ ჟამად დაგვეხმარებიან ჩვენ და ხელს-მოუმართვენ ამ ლიტერატურის, გაძლიერებას თუ არა, ცოტათი წინ-წაწევას მაინც. დღეს ესეც ვიკმაროთ...

## დღიური

ბუშინ წინ, შაბათს საღამოს, ტფილისის კრუჟოკში მოხდა ერთი შემთხვევა, რომელზედაც მთელი ქალაქი ლაპარაკობს ამ ჟამად:

ერთს სტოლზე მსხდარან ვახშმად თ. მ. მ—შვილი, იმის ძმა თ. ზ. და თ. კ. ლ—ნი, და უკანასკნელი ამათგან ხმა მაღლა ლაპარაკობდა თურმე რაღაცაზედ; მეორე სტოლზე, ამათ გვერდით, მსხდარა მეორე კამპანია, სამი სომეხი ახალ გაზდა, სხვათა შორის, ერთი ახალციხელი მდიდარ ვაჭრის შვილი ბ. მ—ვი, რომელსაც, ალბად არ მოსწონებია ზემოხსენებულ პირის ხმა-მაღლა ლაპარაკი და ერთხელ-ორჯერ „შშშიო" დაუძახნია. ეს იმათ არ მოსწონებიათ; ერთი იმათგანი თ. მ. მ—შვილი წამომდგარა, მისულა ამ სომხებთან და უთქვამს:

— ვინ მოგცათ თქვენ უფლება, რომ გვიქშევთო?

ამაზე შექნიათ ჯერ ლაპარაკი, მერე თ. მ—შვილს აულია და სალფეთქი უსვრია მ—ოვისათვის ცხვირ-პირში; ამასაც წაუვლია ბოთლისთვის ხელი, უსვრია, მაგრამ ვისთვისაც დაუნიშნავს, იმას კი არ მოხვედრია, მოხვედრია იმის ძმას თ. ზ—ის. მაშინ გაანჩხლებულ მ. მ—შვილს უძვრია ხმალი (რუსული ხმალი—შპაგა) და ორჯერ დაურტყამს თავში.

ხმაურობაზე და ყვირილზე მოცვივნულა ხალხი და გაუშველებიათ.

ამბობენ, ექიმებს შეუმოწმებიათ ბ. მ—ფოვი და მძიმე ჭრილობა არ აღმოჩენილა.

დამსწრენი ორივე მხარეს ამტყუვნებენ: ბ. მ—ფოვს არავითარი უფლება არ ჰქონდა დაექშია ხმა-მაღლა მოლაპარაკეთათვისო, ამისათვის სტარშინა არის კლუბშიო; მაგრამ არც თ. მ. მ—შვილს ჰქონდა უფლებაო, რომ ამ პატარა შეურაცხყოფისათვის ხმალი ეძროვო...

* * *

„სამშობლოს" წარმოდგენამ საერთოდ ჩვეულებისა-მებრ კარგად ჩაიარა კვირას, თუმცა მოთამაშეთაგანს ზოგიერთებს თითქო წინანდელი ენერგია, მხნეობა აკლდათ როლების ასრულებაში.

ვნახოთ როგორ ჩაივლის ხვალ „მეფე ლირი", შექსპირის ერთი უძნელესი ნაწარმოებთაგანი. ვნახოთ, ხომ არ გაკადნიერდა ჩვენი ნიჭიერი არტისტი ა. ყიფიანი, რომ ესეთი ძნელი პიესა აარჩია ბენეფისისათვის და ესეთ ძნელ როლსაც, როგორიც ლირისაა მიჰკიდა ხელი.

ჩვენ რომ გვკითხოთ, ყიფიანის იმედი გვაქვს, მაგრამ „ლირში" სხვაც ბევრია ძნელი როლია...

* * *

10 თებერვალს, ტფილისის სამჯავრო პალატამ განიხილა გაზ. „მშაკის" რედაქტორის ბ. არწრუნის საქმე. ამ საქმის აღძვრის მიზეზი იყო კორრესპონდენცია ერევნის მომრიგებელ მოსამართლის ბ. შონის შესახებ.

სამჯავრო პალატამ გადუწყვიტა ბ. არწრუნის 25 მან. ჯარიმა, ან ხუთი დღე დატუსაღება, თუ ამ ფულის გადახდა ვერ შესძლოს.

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ამბავი ოზურგეთიდან:

„დვაბზუის საზოგადოებაში 3-ს ამა თვეს მოხდა მეტად სამწუხარო საქმე. ერთს ათის წლის ქალს, რომელიც ამავე საზოგადოების სასწავლებელში სწავლობდა და თითქმის ყველა თავის ამხანაგებს სჯობნიდა ყოველის მხრით, უეცრად გაუვარდა თოფი, მოხვდა გულში და ათის წუთის განმავლობაში კიდეც განუტევა სული. ეს შემთხვევა მით უფრო სამწუხაროა, რომ საწყალი დედა მისი, რომელიც სიყმაწვილეშივე დაქვრივებულა, ყოვლის ღონის-ძიებას და საშვალებას ხმარობდა, რომ თავისი ორი „კაკალა" ქალი ვაჟისათვის მიეცა შეძლებისა-და-გვარად სწავლა-განათლება; ამათზედ ჰქონდა საწყალს დამყარებული ყოველივე იმედი. სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ბედკრულ დედას უნცროსი შვილი—ვაჟი დასწვია (ბავშებს ტანისამოსზედ ცეცხლი წაუკიდებიათ და ველარ მისშველებიათ დროზედ კაცი). საწყალ დედას ეხლა მთელი იმედი ქალზედა ჰქონდა დამყარებული და ეხლა ეს უბედურებაც ეწვია.

## „დროების" კორრესპონდენციები

**სოფ. ახალქალაქი, 10 თებერვალს.** მუდამ დღე მოგვდის ქალაქიდამ ამბავი, რომ სიცივე და თოვლი აღარ ასვენებს ქალაქელებს; ჩვენ კი ვერ დევემდურებით ამინდს: თბილი დღეები, მოწმენდილი ცა, ბრწყინვალე მზე და ამწვანებული მინდორი ჯეჯილით ამხიარულებს და ამხნევებს კაცს.

სოფ. ახალ-ქალაქი... მაგრამ კრძალ-

---

«დროების» ფელეტონი, 15 თებერვ.

## ჟაკეტ *)

### მოთხრობა ჟულ ბლუმესი

(ნათარგმნი ფრანცუზულიდამ)

### II

ცივი და წვიმიანი მარტის ღამე იყო.

ახალ-გაზდა ქალი მისჯდომოდა ცეცხლს და ჰფიქრობდა. ჟაკეტ მთელი დღე შველოდა მეზობლებს ბარგის ჩალაგებას. სოფელი დაცარიელდა. ვაჟკაცები საომრად წავიდენ. ამასაც ძალიან გულით უნდოდა გაყოლა, მაგრამ არ მიიღეს. უნდა გათენებისას ეცნობებინა იმას ჯარისთვის—თუ რასმე მოძრაობას ან მტერს შენიშნავდა სოფლის გარეშე.

ამ საშინელ სიჩუმეში ჟაკეტი იჯდა მარტო და იგონებდა წარსულ დროს. ის ძალიან უყვარდა ჟაკს. ისინი ბედნიერად და სიყვარულით ცხოვრობდნენ თავიანთ მოხუცებულ დედასთან და დებთან. თავიანთი დარგული ვარდის ხის პირველი ნაყოფის მოკრეფა ძლივს მოასწრეს, რომ დაჰკრეს ნაღარა და საწყალი ჟაკი გაიხმეს ჯარში საომრად მოიკიდა ზურგზე საგზალი და გასწია.

უკანასკნელად ისინი დაემშვიდობნენ ერთმანერთს ბაღის ბოლოს. ჟაკეტ ტიროდა. ჟაკ ამშვიდებდა და ეუბნებოდა:

— რა სულელი ხარ, ჟაკეტ, რა გატირებს!... განა არ იცი, რომ მე ბედნიერი კაცი ვარ და ყოველთვის გამარჯვებული დავბრუნებულვარ! მუდამ დილა საღამოს იფიქრე ჩემზე და მე სრულებით ბედნიერი ვიქნები. აბა ერთი გამიცინე ჩემო მშვენიერო, პატარა ცოლო! ხომ აღარაფერი დარდი არა გაქვს? მითხარი რამე? ჰხედავ მე როგორ დამშვიდებული ვარ... აბა, ერთი უკანასკნელად კიდევ ვაკოცოთ ერთმანერთს...

დიდ ხანს იდგა ჟაკეტ და უყურებდა თავის მიმავალ ქმარს. როცა ის მიეფარა კლდეს, გაუდგა უკან, დაუწყო ძახილი; მაგრამ ჟაკს აღარ ესმოდა, ერთობ შორს იყო. ნახვის იმედი რომ გადუწყდა, დაბრუნდა შინ, გულამომჯდარი იტირა.

მუდამ დილას ჟაკეტ მიდიოდა ხის ქვეშ და იგონებდა თავის საყვარელ ქმარს და იმის უკანასკნელ სიტყვებს. მოუთმენლად სთვლიდა დღეებს, იგონებდა უკანასკნელ კოცნას...

დრო გადიოდა და ჟაკეტ კი უიმედოდ იყო. ბოლოს გავარდა ფრანცუზების დამარცხების და ჯარის ამოწყვეტის ხმა. საწყალი ჟაკეტ დარდით დნებოდა.

— არა, ფიქრობდა ის თავის გუნებაში, ჟაკს არაფერი დაემართებოდა, იმას თავის დღეში სხვისთვის რა უქნია-რა ცუდი.

სხვა-და-სხვა საშინელი ამბები ვრცელდებოდა. ჟაკეტს დარდით მთელი ღამე არ ეძინა; ზოგჯერ ხმამაღლა წამოიყვირებდა ხოლმე თავისთავს დასამშვიდებლად:

— მე ვგრძნობ, რომ ჟაკ ამაღამ მოვა...

ბიძა-შვილს შეებრალა ჟაკეტ და დაჰპირდა, რომ უეჭველად შეუტყობს ქმრის ამბავს.

ბევრს ჰკითხა, მაგრამ ვერაფერი ვერ შეიტყო ნამდვილი. ბოლოს ერთმა სალდათმა უთხრა:

— ჟაკი მოჰკლეს ლეიპციგთან, როცა საქსონელები მოგვეპარნენ უკანიდამ. ხმა არ ამოუღია საწყალს...

ჟაკეტმა შეიტყო ეს ამბავი, მაგრამ იმას არა სჯეროდა თავის ქმრის სიკვდილი. იმაგრებდა გულს იმითი, რომ იქნება დაჭრილი იყო მარტო და ამხანაგებს ჰგონიათ, რომ მოჰკლესო. ის ისეთი ჯან-მთელია და კარგი, რომ უეჭველად მორჩება დაჭრილობიდამ და დაბრუნდება სახლში მხიარულად და იტყვის:—„აბა, ჩემო პატარა ცოლო, ერთი მაგრად ვაკოცოთ ერთმანერთს".

ამ ნაირის ფიქრებით იმშვიდებდა გულს, როცა სთხოვდა თავის ბიძაშვილს ამბის შეტყობას, ის ეუბნებოდა:

— სერჟანტს თავისი თვალით უნახავს ის მკვდარი.

ბოლოს ჟაკეტმა ჩაიცვა შავები, გადიხადა წირვა და დაიწყო მოწყენილი ცხოვრება. იმ აზრმა, რომ მისი საყვარელი ქმარი და ბევრი სხვა იმის ქვეყნის ვაჟკაცები დაიხოცნენ იმ წყეული პრუსსიელების ხელით, იმისთანა ზიზღი აღძრა იმის გულში, სულ დღე და ღამ იმას ფიქრობდა, რომ სამაგიერო გადეხადა. ქვრივი თავის თავზე კი არ ჰფიქრობდა, საყვარელ ქმრის მკვლელის სამაგიერო გადახდა

*) იხ. „დროება" № 31.

ვით ვეძახი ახალ-ქალაქს სოფელს ამას აქეთ, რაც ერთხელ ვიღაც უცნობი კაცი რკინის გზაში დიდად გამიწყრა ამა სიტყვებით:

— „აბა მიბრძანეთ, ბატონო, რითი გახლავთ თქვენი ახალ-ქალაქი სოფელი: იმის შენობებს, მაღაზიებს და დუქნებს შეიფერებს სუყველა პაწაწა ქალაქი. ხალხი კი ქალაქელებზედ მეტად წამხდარი და გარყვნილი; რაც ქალაქის კინტოებში ცუდი ხასიათები მოიპოვება, ახალ-ქალაქის კინტოებს მაგრად აქვთ შეთვისებული. თქვენ, პურის ვაჭრები, ბატონო, სიცილით და მუსაიფით, მეგობრულად დაგიცარიელებენ ჯიბეს, ისე გაგცარცვავენ და გაგყვლიან, რომ თითონვე თქვენ დარჩებით იმათი მადლობელი? ბევრ გლეხ-კაცს ვიცნობ ახალ-ქალაქში, რომელთაც ერთ დროს გაკეთებული ოჯახი ჰქონდათ, ეხლა კი ქერის პურსაც ვერ უპოვნით, ვაჭრებმა ჩაიგდეს ხელში...“

მაგრამ დავანებოთ ამას თავი და მოუბრუნდეთ ისევ ჩვენს საგანს. თუმცა ახალ-ქალაქი ორ ქალაქს შუა გახლავთ, ტფილისისა და გორის. (პირველიდამ სამი საათი და მეორედგამ ერთი საათია სავალი), მაგრამ ამისთანა მიტოვებული სოფელი ძნელად იპოვება, ყურის-მგდებელი არავინ არის. ჩვენ სოფელს სწორედ ის საქმე მოსდის, რაც ერთ ფარა ცხვარს მოუვიდა:

მებატონემ მიაბარა თურმე ცხვარი მეცხვარეს. მეცხვარემ მიუტოვა ცხვარი თავის ამარას, არც ყურს უგდებდა და არც ამდენიმე წელიწადი ფარეხი ენახა; მაგრამ ყოველ თვეს არც მებატონეს ატყობინებდა მშვიდობიანობას. გავიდა რამდენიმე წელიწადი, წავიდა ბოლოს მეცხვარე სანახავად ცხვრისა, მაგრამ ვეღარც ცხვარი იპოვა და ვეღარც ფარეხი.

მართალია, არც ახალ-ქალაქი დაიკარგება, არც მცხოვრებლები, მაგრამ კეთილი კი არა მოუვა-რა ასე მიტოვებით. ქურდობა და ავაზაკობა მეტად ხშირდება; მარტო ქურდობას არა სჯერდებიან: ვენახებში ვაზებს ძირიანად სჭრიან.

მამასახლისი და სუდიები თითონვე სჩივიან ხალხთან მძიმე ტვირთზედ, ხალხსაც მიუნებებია ამათთვის თავი, ძალიან ძვირად მიდის იმათთან საჩივალელად, თუმცა საჩივლელი ბევრი აქვთ. სუდიები აქ მარტო გამოსაკვებლად გახლავან ამორჩეულნი.

სოფ. გოსტიბეს ახლო, რომელიც ცხრა ვერსტის სიშორი არის ახალ-ქალაქზედ, დეკემბერს პირველ რიცხვებში იპოვეს მკვდარი, რომელსაც პირი-სახე ნადირისაგან ჰქონდა მოჭმული. შეატყობინეს პრისტავს, პრისტავი მივიდა, ნახა და უბძანა დამარხვა; სამის კვირის შემდეგ მოვიდა მეორე პრისტავი, უბძანა მკვდრის ამოთხრა და ჩამოტანა ახალ-ქალაქს. გოსტიბელებმა შეასრულეს ეს ბრძანება, ჩამოიტანეს მკვდარი ახალ-ქალაქს, აქ არ დახვდათ არც პრისტავი, არც ექიმი და დაასვენეს მკვდარი დუქანში, სადაც მუდამ ხალხი ტრიალებს. ერთი კვირა მეტი ესვენა ეს მკვდარი დუქანში და აღელვებული ხალხი უცდიდა ექიმს, მაგრამ ექიმმა ერთი კვირა მეტი აცდევინა. დავანებოთ სენს თავი, ისიც სამყოფია, რომ არ იცოდა ხალხმა რითი მომკვდარიყო და რა ავადმყოფობა სჭირდა. ან რისთვის ჩამოიტანეს იქიდამ ახალ-ქალაქს, როდესაც გამოძიება უფრო ადვილი იყო ალაგობრივ და დოქტორიც იქ უნდა ასულიყო? ან რა ალაგი იპოვეს დუქანი მკვდრებისთვის?

ვიტყვი ერთ-ორ სიტყვას ჩვენს ბანკზედაც. ოთხი წელიწადი მას აქედ, რაც აქ დაარსდა სასოფლო ბანკი; თუმცა მას ჯერ დიდი ხანი არ არის, მაგრამ ეხლა ხალხს იმისი აპერაცია სიზმრად ჩვენება. ნუ გეგონებათ, რომ იგი მოთავეების უპატიოსნობაზედ იყოს დამოკიდებული; სრულებითაც არა, ძალიან პატიოსანი საზოგადოებაა აქ, მაგრამ ერთი ნაკლულევანება აქვს ამ საზოგადოებას: საზოგადო საქმეს ბევრით დაბლა აყენებს პირად საქმეზედ და რადგანაც უსაქმო კაცი ჩვენ სოფელშიაც კი ვერ მოიპოვებოდა, ამიტომ მოთავეები ყურს არ უგდებდენ ბანკს და ასე მიტოვებული საქმე ჩაიშალა თავის-თავად.

ჩვენმა საზოგადოებამ მოინდომა ფულის შეგროვება და საერთოდ გამოწერა გაზეთებისა და სამეურნეო ჟურნალებისა. თუ ეს მართლა აასრულეს, ამისთვისაც ბარაქალა გვეთქმის.

ახალქალაქელი.

---

**ფოთი**, 11 თებერვალს. ამ ზამთარმა ჩვენთვის ძლიერ კარგად ჩაიარა. პირველად კი მოვიდა ცოტაოდენი თოვლი და ნანათლიღებევს-კი ძლიერ კარგი დარები დაგვიდგა, ასე რომ ხეხილები იშლებიან. საუბედუროდ ამ ადრე გაზაფხულმა ზოგგვარი სნეულობაც გააჩინა, რამაც იმსხვერპლა რამდენიმე სული. ჩვენთვის ავად-მყოფობა მით უფრო მძიმეა, რომ ექიმისაგან შემწეობას ვერ მიიღებ თავის დროზე. ერთმა ექიმმა ტაქსიაც დასდვა: თუ გაალვიძეს—ოცი მანეთი და თუ ღლით წაიყვანა ვინმემ ერთი თუმანი უნდა მისცეს: ეს იმიტომ რომ ის სამხედროა და მჩალტედ არ დაიარება.

გაგვიხშირდა ქალაქში ცეცხლიც. თუ გაწყრა ღმერთი და ცეცხლი გაჩნდა გაქრობას ნუღარავინ ეფიქრება, რადგანაც სახლები სულ ხის არიან.

ამ კვირაში დაგვეწვა სამი სახლი. მადლობის ღირსნი მხოლოდ ზოგიერთი ქალაქის მცხოვრებნი არიან, რომლებმაც კინაღამ თავი შესწირეს და სხვა სახლები დაწვას მოარჩინეს. გასაკვირველია რომ ფოთი ერთიანად წყალშია თითქმის და როცა ცეცხლი გაჩნდება, მაშინ კი გაუწყვებათ ხოლმე. რად უნდა ქალაქს ის რუსები, რომელნიც ქალაქის ხარჯით ინახებიან და ამნაირი შემთხვევას გულისათვის არიან დაყენებული; ტყუილა ფირმისთვის? ქალაქს არა აქვს არც ერთი თავის საკუთარი ბოჭკა და ვედრო, რომ კაცმა წყალი მოიტანოს. რა ძნელია, რომ ქალაქმა ერთი პატარა მაშინა იყიდოს თავის მოწყობილობით და იმ რუსებს, რომლებიც ტყუილა ქალაქში უყენიათ, ჩააბაროს? ახლა მაინც არის თვით-მართველობა დადგენილი!

ქ. ფუქსაძე.

---

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა;

---

ენდოდა და იმ ადგილის დაცვა, სადაც იმის საყვარელი ჟაკ ცხოვრებდა თავის ქმართან, და ბოლოს ბევრი ცრემლიც დაღვარა.

### III

მეზობლებმა არ წაიყვანეს ჟაკეტ სომრად, რადგან ქალი იყო, თუმცა კი დარწმუნებული იყვნენ, რომ იმისი მარჯვე და მაგარი მკლავი არ ჩამოუვარდებოდა კაცებისას. ის ფიქრობდა მეორე დღეს თავის მეომარ მეზობლებთან წასვლას და თუ ვინიცობაა, როგორც ისინი დაჰპირდნენ, ტყვეები დაუჭერიათ, ნახავს ლეიპციგის ხალხს, რომელთაც ისე ულმერთოდ მოჰკლეს იმისი ჟაკ.“

საათი საათზე გარბოდა, მაგრამ ჟაკეტ მაინც თავის გაციებულ კერასთან გაუნძრევლივ იჯდა. უეცრად შემოისმა ფეხის ხმა ეზოდან. რამდენიმე კაცი მძიმე ნაბიჯით მოდიოდენ და ჩუმად ლაპარაკობდენ. ამ საშინელს სიბნელეში ერთი იმათგანი მოედო მარხილს და იმისმა ხმალმა მოიღო შრიალი. ჟაკეტ ფეხზე წამოხტა გაჩქარებით.

— რა არის ეს? ნუ თუ ჩვენი სოფლის ვაჟკაცები დაბრუნდენ ასე მალე.

სიბნელისაგან ვერაფერი დაინახა.

— ესენი უთუოდ მეორე მხრით მიდიან დასაბანაკებლად... ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცესთ... დამშვიდებული მიუჯდა ისევ კერას. პატარა ხანს უკან ხმელმა შეშამ მოიღო ტკაცა-ტკუცი. მივიდა ფანჯარასთან, გაიხედა და დაინახა ვიღაც სალდათები სხვა ნაირი ტანისამოსით ცეცხლს ანთებდნენ. ზოგიერთი დაჩოქილი ჰკრეფდა გამხმარ ტოტებს, ზოგნი ცეცხლს აჩაღებდნენ, ზოგნი სველ ტანისამოსს აშრობდნენ. საშინელ სურათს ხედავდა გულ-გახეთქილი ქვრივი. ყური დაუგდო ერთი იმათგანი საშინელის ხმით ლაპარაკობდა უცნობ ენაზე.

ჟაკეტი ზიზღით აკანკალდა და ბუტბუტებდა:

— ესენი მტრები არიან უთუოდ! პრუსიელები? პარიზს ამტვრევდენ, შედიოდენ სახლებში დასარწმუნებლად, რომ სოფელი ცარიელია. აგერ აქაც შემოვლენ, ფიქრობდა ჟაკეტ. ერთი დამცველი არავინა ჰყავდა. მოაგონდა იმათი მხეცური ჩვეულება და სულ კრთოდა შიშით, რომ უპატიურობა არ მოეყენებინათ.

— ოჰ! ჩემო ჟაკ. ეს სულ ჩვენი სიყვარულის ადგილის დასაცავად უნდა ავიტანო უპატიურობა, მომიტევე ჩემო ჟაკ!

მტრები მოახლოვდენ ჟაკის სახლს. საშინელმა ფიქრებმა აიტაცა ჟაკეტ... ბოლოს მიმალა თავისი სკამი, შეძვრა სტოლის ქვეშ და იქ წაწვა.

სილეზიელები შემოვიდნენ ნელნელა ოთახში, გასინჯეს კუთხეები, მივიდენ ლოგინთან, აიღეს ლეიბი და ბალიშები და ისევ გავიდენ გარედ. როგორც გავიდენ, ჟაკეტ გამოძვრა თავის კუთხიდამ და დაუწყო იმათ ყურება. ვინ იცის, ეს ერთი იმათგანი იყო, რომელმაც მოჰკლა იმისი საყვარელი ჟაკი? ნეტავი მოვიდეს ვინმე და მიშველოს, რომ სამაგიერო გადუხადო ამ წყეულებს.

ბოლოს იმ აზრმა, რომ, ვაი თუ, მართლა ხვალ დილაზე დაბრუნდენ უკან ვაჟკაცები იმ იმედით, რომ მტრები აღარსად არ დაუხვდებათ. უნდა უეჭველად ვაცნობო მე იმათ, რომ არ მოვიდენ. მაგრამ ამაღამდელი ღამე როგორ უნდა გაათენოს? ვაი, თუ იმისი მეგობრები და მეზობლები ხვალ მახეში გაებმენ! იმათ ამისი იმედი ჰქონდათ, უნდა შეატყობინოს, თუ კი რამე არეულობას ან მტრის მოახლოებას დაინახავს. არა, იქნობამდინ არ მიიყვანს საქმეს მეომრის ქვრივი! საფრანგეთის ქალმა იცის თავისი მოვალეობის აღსრულება! სოფლელები რომ შეიტყობენ პრუსიელების იქ ყოფნას, უეჭველია დაეცემიან და ამოჟლეტენ. სამაგიეროს გადუხდიან. რა ჰქნას, როგორ შეატყობინოს? ამათ უთუოდ დარაჯები ეყოლებათ დაყენებული.

ჟაკეტ გამოვიდა გარეთ, გაწვა მუცელზე და ისე მიჩოჩავდა ამ ტალახში და წვიმაში. დარაჯები დადიოდენ, მაგრამ ვერ შეამჩნიეს იმ ბნელაში. მოშორდა თუ არა იმათ, წამოდგა ფეხზე და გაიქცა. დაუსვენებლივ მირბოდა იმ ადგილისკენ, სადაც ფრანცუზის ჯარები იდგნენ.

(დასასრული ხვალ)

ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარდვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

**სამშაბათს, 22 თებერვალს**

**ტფილისის კრუჟოკში**

გამართული იქნება

## ბალი

**ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების** სასარგებლოდ.

ქალები ვალდებულნი არ არიან გულამოჭრილ კაბებით იყვნენ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

---

**დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად**

## „ციკო“

მოთხრობა

**ა. მოხუბარიძისა (ყაზბეგისა)**

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპეიკად. (10—1)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

**ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.**

შეკრებილი და გამოცემული

**ზ. ჭიჭინაძისაგან**

ფასი ხუთი შაური.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის

სკოლაში და შინ საკითხავად

ალაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

# ე. ფ. აუფერმანის

მაღაზიაში

ერევნის მოედანზე, ღენ. ტერ-ასატუროვის სახლებში

ი ს ყ ი დ ე ბ ა

# საკერავი მაშინები

უასლესის სისტემისა, ოჯახისთვის სახმარებლად, დერციკებისათვის და სხვ. და სხვ. ხელობისათვის. ეს მაშინები, განსაკუთრებულის აქციონერულ საზოგადოებისა ადრე ფრისტერ და როსმანისა, მოწყობილი არიან საუკეთესო, მოთავსებულ, წარმარტებულ პატენტიან სახვევით და სხვ. აპპარატებით. რადგან ნისიად მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გაიცემა ეს მაშინები და ბევრი სხვა მიზეზებიცაა ამიტომ ისყიდებიან, რაც შეიძლება იაფად.

კარგი მუშაობისათვის და თვისებისათვის მაშინებისა პასუხის მგებელია მაღაზია.

კერძოდ ხარაზებისათვის ისყიდება აგრეთვე მ.ნცფელდის მაშინები.

კლარკსის ძაფები, ზეთი და ნემსები სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებისათვის, და აგრეთვე სხვა წვრიმანი საჭირო ნივთები ისყიდება ცალკ-ცალკედაც.

**იქვე ისყიდება კუხნის ჭურჭლეულობა ემალით ნაკეთები.**

საკამისიონერო და სააგენტო ანილინის საღებავებისა, რკინეულობისა, ჭასხრაკებისა, ხერხებისა და სხვა-და-სხვა სამუშაო ხელთ-საწყობთა. (10—7)

---

ინგლისის მაღაზიაში

# თმის ამომყვანი მაქმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—48)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**სახელმძღვანელო რუსული ენისა** ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (**съ удареніями**) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია ჩიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათა. ვისაც ყდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. ჩიქუროვის მაღაზიაშივე ისყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება ჩიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურადა. ყდისათვის უნდა დაუმატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურადა.

---

**ქირით იძლევა**

ერთი დიდი ოთხ-გასწყოფილებიანი ზალა თ. მუხრანსკის სახლში, მიხაილოვის პროსპექტზე. იკითხეთ „შვეიცარიის“ რესტორანი. (3—2)

---

**ინგლისური რკინის კრავოტები**



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, სათვალეები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—19)

---

**ახალი წიგნი**

**ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე**

შემოკლებული

**საქართველოს**

# ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

**№ 1.**

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

---

**ტაქსია**

**საჭმელ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 თებერვლიდამ 16 თებერვლამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $4\frac{1}{2}$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Февраля 1883 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი